

ყურადღებით! თქვენ ეცნობით არა საბოლოო რედაქციას. საბოლოო რედაქციის გასაცნობად აირჩიეთ შესაბამისი კონსოლიდირებული ვერსია

პირველადი სახე (10/05/2012 - 25/05/2012)

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

### „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს კონსტიტუციის 102-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდეს საქართველოს პრეზიდენტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი (№07- 1 /3 58 , 08.05.201 2 ) „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი .

2. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 176-ე მუხლის პირველი, მე-2 და 2<sup>1</sup> პუნქტების შესაბამისად შეიქმნას საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია 24 წევრისაგან, შემდეგი შემადგენლობით:

**პავლე კუბლაშვილი** – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარე )

**ლევან ვეფხვაძე** – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე

**პაატა დავითაია** – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე

**დავით დარჩიაშვილი** – საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე

**გიორგი მელაძე** – საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე

**ნუგზარ წიკლაური** – საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე

**ზურაბ მელიქიშვილი** – საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე

**ვახტანგ ზალავაძე** – საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის თავმჯდომარე

**პეტრე ცისკარიშვილი** – საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი

**გია თორთლაძე** – ფრაქცია „ ძლიერი საქართველო “ თავმჯდომარე

**გიორგი ახვლედიანი** – ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარე

**დიმიტრი ლორთქიფანიძე** – ფრაქცია „ ერთობა სამართლიანობისთვის “ თავმჯდომარე

**გურამ ჩახვაძე** – საქართველოს პარლამენტის სა ფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

**რატი მასისურაძე** – საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

**ჯონდო ზალათურია** – საქართველოს პარლამენტის წევრი

**ანდრო ალავეძე** – საქართველოს პარლამენტის წევრი

**გიორგი ცაგარეიშვილი** – საქართველოს პარლამენტის წევრი

**დიმიტრი მაგნიძე** – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე

**ვასილ გონაშვილი** – სამართლის დოქტორი, სრული პროფესორი

**ირაკლი ზურდული** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი , სრული პროფესორი

**დავით კერესელიძე** – აკადემიური პერსონალი, სრული პროფესორი

**გიორგი კვერენჩილაძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, სამართლის დოქტორი, სრული პროფესორი

**ნანა ჭილაძე** – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

**კახი ყურაშვილი** – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი.

3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს პარლამენტის**

**თავმჯდომარის პირველი მოადგილე მ. მაჭავარიანი**

**თბილისი,**

**20 1 2 წლის 8 მაისი .**

**№6134- I ს**

## საქართველოს კონსტიტუციური კანონი

### საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებ ის შეტანის შესახებ

**მუხლი 1.** საქართველოს კონსტიტუცი ის (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1995, №№31-33, მუხ. 668) მე-3 მუხლს დამატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„ 5 . ქალაქ ლაზიკას სტატუსი და უფლებამოსილებანი განისაზღვრება ორგანული კანონით . “.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს პრეზიდენტი**

**მ . სააკაშვილი**

### განმარტებითი ბარათი

**საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტზე „ საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ “**

**ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ**

**ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:**

კანონპროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს ქალაქი ლაზიკას სტატუსის საქართველოს კონსტიტუციაში ასახვის აუცილებლობა.

**ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:**

კანონპროექტის მიზანია საქართველოს კონსტიტუციაში აისახოს დებულება ქალაქ ლაზიკას სტატუსთან დაკავშირებით. ამასთან, უშუალოდ სტატუსთან და უფლებამოსილებებთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგდება საქართველოს ორგანული კანონით.

**ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:**

წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლს ემატება მე-5 პუნქტი, რომლის მიხედვითაც

ლაზიკას სტატუსი და უფლებამოსილებანი განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით.

ქალაქ ლაზიკას სტატუსის ორგანული კანონით განსაზღვრა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ახალი ქალაქის განვითარებას, ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების ზრდას, ქალაქ ლაზიკას და მთლიანად საქართველოს მნიშვნელოვან ეკონომიკურ-საფინანსო და კულტურულ ცენტრად გადაქცევას.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება.**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო.**

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

პროექტის მიღება არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

პროექტის მიღება არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის თანახმად, სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ ეკისრება.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

ფინანსურ შედეგებს არ იწვევს.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა გადასახდელის დაწესებას.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებები.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.**

**და.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

აღნიშნული პროექტის მომზადებაში ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

**და.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

აღნიშნული პროექტის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

**და.გ) კანონპროექტის ავტორი:**

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია.

**და.დ) კანონპროექტის ინიციატორი:**

საქართველოს პრეზიდენტი.